გამოუყენებელი შესაძლებლობა

მიუხედავად ფეხბურთისათვის არახელსაყრელი (წვიმიანი) ამინდისა, 25 აპრილს თბილისის “დინამოს” სტადიონი სავსე იყო მაყურებლით. საბჭოთა არმიის ცენტრალური სახლის გუნდისა და თბილისის “დინამოს” შეხვედრამ დიდი ინტერესი გამოიწვია.

ხანგრძლივი წვიმის შემდეგ მოედანი მთლად ტალახით იყო დაფარული. მაგრამ ორივე გუნდმა თავიდანვე მაღალი ტემპი განავითარა. უკვე მეორე წუთზე “დინამოს” კართან ბუზუნოვმა მარჯვნიდან მოაწოდა კუთხური. ვანზელმა ძლიერი თავური დარტყმით ბურთი კუთხეში გაგზავნა, მაგრამ მარღანიამ ბრწყინვალე ნახტომით შეძლო მისი აღება. ბურთს დაეუფლნენ დინამოელები, სწრაფად გადააწოდეს მარცხენა ფრთაზე, სადაც იგი მიიღო თოდრიამ და ძლიერად დაარტყა კარში. ბურთი აცდა მიზანს. მე–4 წუთზე კოტრიკაძეს ჰქონდა ბურთის გატანის რეალური შესაძლებლობა, მაგრამ ღოღობერიძის მიერ კარგად მოწოდებული ბურთი მან ცარიელ კარს ააცილა. ორი წუთის შემდეგ მარღანიას კვლავ მოუხდა თამაშში ჩაბმა და ემიშევის ძლიერი დარტყმის მოგერიება. მე–8 წუთზე გაგნიძემ, კოტრიკაძემ და ღოღობერიძემ მარჯვენა ფლანგზე გაითამაშეს სწრაფი კომბინაცია, რომელიც ღოღობერიძემ ახლო მანძილიდან ზუსტი დარტყმით დაამთავრა. ანგარიში გაიხსნა – 1:0.

გატანილი ბურთის შემდეგ ინიციატივა თბილისელებმა აიღეს ხელთ. არმიელმა ნახევარმცველმა ბელკოვმა ვერაფერი გააწყო ღოღობერიძის წინააღმდეგ და რამდენჯერმე აშკარა უხეშობა დაუშვა. მსაჯის გაფრთხილების მიუხედავად, ბელკოვი კვლავ სახიფათოდ დაესხა თავს ღოღობერიძეს, რისთვისაც იგი 35–ე წუთზე გაძევებული იქნა მოედნიდან. თბილისის “დინამოს” ტერიტორიულ უპირატესობას დაემატა რიცხობრივიც და სტუმრები იძულებული გახდნენ ნახევარდაცვაში გადაეყვანათ ფედოროვი. ამან, რა თქმა უნდა, “დინამოს” მეტი საშუალება მისცა შეტევისათვის. დარჩენილი დროის განმავლობაში თამაში თითქმის მთლიანად მოსკოველთა ნახევარზე მიმდინარეობდა. ტაიმის ბოლო წუთებში თოდრიამ ხელსაყრელი პოზიციიდან დაარტყა კარში. ბურთი მოხვდა კარიდან გამოსულ მეკარე რაზინსკის და კვლავ თოდრიას დაუბრუნდა. დინამოელის მეორე დარტყმა ცარიელ კარში მიდიოდა და ბაშაშკინი იძულებული იყო ხელით გამოეტანა იგი, მაგრამ მოსკოველები 11–მეტრიანი დარტყმიდან იხსნა გაგნიძემ, რომელიც ამ მომენტში თამაშგარე მდგომარეობაში აღმოჩნდა.

ცდსა–მ თამაშის მეორე ნახევარი მონდომებით და ენერგიულად დაიწყო. არმიელებმა დიდი სიმტკიცე და შეუპოვრობა გამოავლინეს, ამიტომ მოედანზე თითქმის არც იგრძნობოდა თბილისელთა რიცხობრივი სიჭარბე. მოსკოველებმა რაციონალურად გაანაწილეს მოთამაშეები. თავისუფალ ზონაში აქტიურად თამაშობდა ბაშაშკინი, რომელმაც ჩაკეტა თავისი მოწინააღმდეგე და პარტნიორებსაც წარმატებით ეხმარებოდა. მალე რაზინსკი ბურთის მოსაგერიებლად გამოვიდა საჯარიმო მოედნის ფარგლებს გარეთ. მის მიერ ფეხით უკუგდებული ბურთი ჩაუვარდა ღოღობერიძეს, რომელმაც შორიდან დაუყოვნებლივ გაგზავნა იგი კარში. რაზინსკიმ შეძლო ამ ძნელი ბურთის აღება. არმიელებმა ვანზელის ნაცვლად მოედანზე გამოიყვანეს დიომინი, რომელმაც კორშუნოვთან ერთად რამდენიმე სახიფათო კომბინაცია გაითამაშა. მოწინააღმდეგესთან ერთ–ერთი შეჯახებისას რამდენიმე ხნით მოედნიდან გავიდა პეტროვი. 11 თბილისელი დარჩა 9 მოსკოველის წინააღმდეგ, მაგრამ დინამოელებმა ესეც ვერ გამოიყენეს. მათი ორივე ნახევარმცველი

მხოლოდ თავის ზონაში თამაშობდა და არ ცდილობდა ხელსაყრელი მდგომარეობის გამოყენებას. პეტროვი დაშავებული ფეხით კვლავ დაუბრუნდა მოედანს და შეძლო თამაშის ბოლომდე დამთავრება. ცვლილება მოხდა თბილისელთა რიგებშიც. დაშავებული კოტრიკაძის ნაცვლად მოედანზე ცაგარეიშვილი გამოვიდა.

35–ე წუთზე ბუზუნოვი ბურთით გაიჭრა მოწინააღმდეგის კარისკენ. მის მიერ სუსტად დარტყმულ ბურთს დაეუფლა ემიშევი და ახლო მანძილიდან დაბალ კუთხეში საპასუხო ბურთი გაიტანა – 1:1.

ანგარიშის გათანაბრების შემდეგ მოსკოველები ცდილობდნენ მის შენარჩუნებას და ყოველი საშუალებით გაჰყავდათ დრო. თბილისელთა თამაშში თანდათან შესამჩნევი შეიქმნა ნერვიულობა. მოთამაშეები ხშირად კარგავდნენ ბურთს, არაზუსტად აწოდებდნენ ერთმანეთს, დიდხანს უნდებოდნენ მოედნის შუაგულში უსარგებლო კომბინაციების გათამაშებას. წუთები გადიოდა. გაისმა გონგის ხმაც. აქ მოსკოველებს წამოეხმარნენ "დინამოს" მცველებიც. ისინი ხანგრძლივად აჩერებდნენ ბურთს თავის ნახევარზე და საგრძნობი დაგვიანებით აგზავნიდნენ მას წინ.

თბილისის "დინამომ" ვერ გამოიყენა ხელსაყრელი შესაძლებლობა და მატჩი დამთავრდა ფრედ – 1:1.

დუბლიორთა შეხვედრაში გაიმარჯვეს მოსკოველებმა – 4:1.

ვ. რამიშვილი, რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი.
"ლელო", 28 აპრილი 1954 წ.